საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 9 25 00010573

29/04/2025

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის პროექტი - „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2025 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში შემდეგი გარემოებების გამო:

ბოლო პერიოდში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, საჯარო სამსახურში გატარებულ რეფორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე, გამოვლინდა „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი ნორმების კორექტირების საჭიროება. ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განხორციელებული საკადრო ცვლილებების გათვალისწინებით, დაისახა დიპლომატიური სამსახურის კიდევ უფრო დახვეწისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის ახლებური სამოქმედო გეგმა. სწორედ აღნიშნული სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებას ემსახურება ინიციირებული საკანონმდებლო ცვლილების მომზადება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების, სამუშაო რეჟიმისა და მისი სტრუქტურის გათვალისწინებით, წარმოადგენს სპეციფიკურ საჯარო დაწესებულებას. შესაბამისად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობა სრულყოფილად ვერ წესრიგდება საჯარო სამსახურის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებით და მასზე ძირითადად ვრცელდება სპეციალური კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები.

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA

ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.GOV.GE

ზემოაღნიშნული სპეციფიკის განსაკუთრებული ნაწილია დიპლომატიური თანამდებობის პირის/ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის საზღვარგარეთ როტაციის წესით გრძელვადიან სამუშაო მივლინებაში წარგზავნა. აღნიშნული პროცესი მოითხოვს კონკრეტულ პერიოდში, შესაბამის ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, სათანადო კანდიდატურის შერჩევასა და გრძელვადიან სამუშაო მივლინებაში წარგზავნას. შესაბამისად, როტაციის წესით სამუშაო მივლინების წარგზავნის პროცედურის მარეგულირებელი ნორმების სრულყოფა, როგორც წესი, წარმოიშობა არაგეგმიურად. გამომდინარე აქედან, საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების აუცილებლობა არ იდგა 2025 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენამდე და აღნიშნულის საჭიროება გამოვლინდა შემდეგ ეტაპზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ვახტანგ ბაჩიაშვილი